

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების (იმს) ფაკულტეტი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული დანაყოფი.

იმს ფაკულტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – დეპარტამენტებისაგან, დეპარტამენტში შემავალი მიმართულებებისაგან, ფაკულტეტის ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან: დეკანატის, სამდივნოსაგან.

იმს ფაკულტეტის ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით და შესაბამისი ერთეულის დებულებით. ფაკულტეტის დებულებით შეიძლება განისაზღვროს სხვა სტრუქტურული ერთეულები და მათი საქმიანობის წესიც.

იმს ფაკულტეტის სტრუქტურა მოცემულია ნახ.1 – ზე.

### **1. ფაკულტეტის საბჭო**


ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წამომადგენლობითი ორგანო, რომლის ოდენობასა და არჩევის წესს, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 27 მუხლის მეორე პუნქტის დათქმის შესაბამისად, განსაზღვრავს ფაკულტეტის ეს დებულება.

ფაკულტეტის საბჭო შედგება 35 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედის: დეკანი, დეკანის მოადგილეები (2 წევრი), ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, დეპარტამენტის ხელმძღვანელები (5 წევრი), მიმართულებების ხელმძღვანელები (14 წევრი), ფაკულტეტის პროფკავშირის წარმომადგენელი, ფაკულტეტის სრული პროფესორი (1 წევრი), ფაკულტეტის საბჭოს მდივანი და ფაკულტეტის სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენელი (9 წევრი).

ფაკულტეტის საბჭოს წევრებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო:

- ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;
- განიხილავს და უნივერსიტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს დეკანატის მიერ დამუშავებულ, ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო, მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- განიხილავს და უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
- განიხილავს და უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს დეკანატის მიერ დამუშავებულ, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას;
- სიით შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ხარისხის სამსახურის შემადგენლობას;
- ისმენს დეკანის, დეპარტამენტების ხელმძღვანელების (მაისი) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (სექტემბერი) წლიურ ანგარიშებს;
- იხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანატის მიერ მომზადებულ ყველა ღონისძიებას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში სახელმძღვანელოდ გამოყენების მიზნით.

# ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურა



## 2. ფაკულტეტის დეკანი

- ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
- ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით.
- დეკანად შეიძლება აირჩეს ასოცირებული ან სრული პროფესორი.

ფაკულტეტის დეკანი:

- უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;
- ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
- შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;
- თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
- “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და ამ წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
- წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ადგენს ფაკულტეტის საქმის წარმოების წესს;
- მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს ფაკულტეტის სახელით;
- ახორციელებს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

## 3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად, აწარმოებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატურ შეფასებას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- სისტემატურად აფასებს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებს;
- მონაწილეობს პროგრამული ატესტაციისათვის ფაკულტეტის მომზადებაში;

- ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
- ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების გზით;

#### 4. სადისერტაციო საბჭო

- იმს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შექმნილია ფაკულტეტზე;
- სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორისაგან;
- სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები;
- სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, საინიციატივო ჯგუფის მიერ ერთი ან რამდენიმე კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი;
- სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს (საბჭოს შემადგენლობიდან) წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი ინიშნებიან 3 წლის ვადით ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;
- სადისერტაციო საბჭო საქმიანობას წარმართავს სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით.
- სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 50% - ზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამწრეთა არანაკლებ 2/3.
- საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
- სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს სადოქტორო დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციას.

## 5. სტუდენტი

სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევებში;
- ამ წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიური საქმიანობის შესახებ;
- აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში, უმაღლესი განათლების კანონის და ამ წესდების შესაბამისად;
- თავისუფლად დააფუძნოს ანდა გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა;
- მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- აირჩიოს სასწავლო პროგრამა;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;
- პერიოდულად მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში;
- შეიძლება იმყოფებოდეს სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე;
- საჭიროებისამებრ აიღოს აკადემიური შვებულება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებმა სრულფასოვანი განათლების აუცილებელი პირობების შესაქმნელად მიიღონ სხვადასხვა სახის შეღავათები;
- განახორციელოს ამ წესებით და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი;
- დოქტორანტი შეიძლება არჩეული იქნეს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე. მართვის ორგანოების არჩევნებში იგი მონაწილეობს, როგორც სტუდენტი;
- სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის

ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება;

- ადმინისტრაციის მხრიდან დაუშვებელია საკუთარი უფლებამოსილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამგვარი გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება;
- სტუდენტთა ქცევის, დისციპლინური დევნის წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში;
- სტუდენტი უფლებამოსილია სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;
- სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ან უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

სტუდენტი ვალდებულია:

- ისწავლოს უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილის მიხედვით აირჩია და რომლის სწავლა სავალდებულოა;
- დაიცვას უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი;
- ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას;

## **6. სტუდენტური თვითმმართველობა**

- უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად უნივერსიტეტის სტუდენტთა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს;
- უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს ფაკულტეტებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთიანობას, რომელიც საქმიანობას წარმართვას უმაღლესი განათლების შესახებ კანონის და თავისი დებულების მიხედვით;
- ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების ორგანიზება-ჩატარებას განსაზღვრავს თავისი დებულებით;

ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

- უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) მართვაში;
- ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
- ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;
- ხელს უწყობს სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებას;
- შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტების ან უნივერსიტეტის მართვის სისტემების და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს, აკადემიურ საბჭოს;

- საჭიროებისამებრ უფლებამოსილია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) საქმიანობაზე, მათ შორის საფინანსო და ეკონომიური საქმიანობის შესახებ;
  - საჭიროებისამებრ უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასებაში;
  - ნიშნავს წევრებს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებში;
  - იღებს დაფინანსებას უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) ბიუჯეტიდან;
  - კოორდინირებულად მუშაობს უნივერსიტეტში (ფაკულტეტზე) არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებთან, კლუბებთან, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებთან;
  - ადმინისტრაციას მიმართავს შუამდგომლობებით სტიპენდიის დანიშვნის, შეღავათების გაწევისა და ინდივიდუალური გრაფიკის დანიშვნის შესახებ;
  - განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერთოს სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობაში.

## **7. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი**

დეპარტამენტი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის (შემდგომში იმს ფაკულტეტი) შემადგენლობაში შემავალი ძირითადი სასწავლო სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეული, რომელშიც ერთიანდება, რამდენიმე მონათესავე მიმართულება.

იმს ფაკულტეტის სტრუქტურაში შედის ხუთი დეპარტამენტი:

1. კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტი;
2. საინჟინრო კიბერნეტიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის დეპარტამენტი;
3. ორგანიზაციული მართვის დეპარტამენტი;
4. ფიზიკის დეპარტამენტი;
5. მათემატიკის დეპარტამენტი;

ორგანიზაცია და უფლებამოსილებანი;

დეპარტამენტები ექვემდებარება იმს ფაკულტეტის დეკანს.

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობაა:

- უზრუნველყოს სტუდენტთა მომზადება პროფესიული და კვლევაზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის ყველა დონეზე მიმართულებების მიხედვით;
- ერთიანი საბაზისო მომზადების პროცესით კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ESTS) შესაბამისად ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საკვალიფიკაციო დახასიათებების შედგენის, მიმართულებებისათვის კურიკულუმების შემუშავებისა და

დანერგვისათვის საჭირო მეთოდური მასალების მომზადების და შესაბამისი კონცეფციების ჩამოყალიბების ხელმძღვანელობა;

- მიმართულებების მიხედვით სასწავლო კურსების საგანმანათლებლო საკვალიფიკაციო ნორმატიული დოკუმენტების ერთობლივი პაკეტის ფორმატის ჩამოყალიბების კოორდინაცია;
- დეპარტამენტში შემავალ მიმართულებებში ტესტირებისა და გამოცდების ერთიანი წესით ორგანიზების ხელმძღვანელობა, საგამოცდო პროცესის სრულყოფა და კონტროლის ორგანიზაცია;
- მიმართულებების კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმებისათვის დარგის წამყვან წარმომადგენლებთან ურთიერთკავშირების დამყარება;
- სამუშაო გეგმების და მეთოდური მასალების მომზადების კოორდინაცია დეპარტამენტში შემავალი მიმართულებების ეფექტური მუშაობისა და სასწავლო პროცესის ნორმალური წარმართვისათვის, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა;
- დეპარტამენტის შემადგენელ მიმართულებებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმების შედგენის და გრანტების მოსაპოვებლად სათანადო ფონდების მოძიებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების ხელმძღვანელობა;
- სტუდენტთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში მონაწილეობის ორგანიზაცია;
- მიმართულებების მიხედვით სადოქტორო პროგრამების შემუშავების და სადოქტორო დისერტაციების დაცვისათვის მომზადების კოორდინაცია;
- მიმართულებების ხელმძღვანელების პერიოდული ანგარიშების, ინფორმაციების მოსმენა, გაწეული მუშაობის შესახებ.

## **8. მიმართულება**

მიმართულება იმს ფსკულტეტის დეპარტამენტში შემავალი ორგანიზაციული ერთეულია, რომელიც შედგება აკადემიური პერსონალისაგან და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამას (კურიკულუმი), სასწავლო კურსს (სილაბუსი), მოდულებს.

**საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** – არის სასწავლო კურსების ერთობლიობა (მათი მიზნები, მოცულობა და სწავლების შედეგები, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები), რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის ან პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად არის გამოზნული. მასში შემავალი საგნების თანამიმდევრული შესწავლა უზრუნველყოფს დარგის სრულფასოვანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას.

**სასწავლო კურსის (სილაბუსი)** პროგრამის დანიშნულებაა – სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსის, სწავლების შედეგების, მეთოდური უზრუნველყოფის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემის აღწერა.

**მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი თანამიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანამიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას.



**მიმართულების** კომპეტენციაში შედის სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური საქმიანობა, სპეციალისტების, სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის მომზადება და გადამზადება. იმ დარგის საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით; სასწავლო ლაბორატორიების და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების განხილვა; დამთავრებული სადოქტორო ნაშრომების განხილვა მათთვის რეკომენდაციის მიცემის მიზნით; საგამოცდლო ფურცლებისა და უწყისების რეგისტრაცია.

**მიმართულებას** ხელმძღვანელობს სრული პროფესორი, რომელიც ამტკიცებს მუშაობის საერთო გეგმას, აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ გეგმებს და სხვა დოკუმენტებს მიმართულების დონეზე, ანაწილებს აკადემიურ დატვირთვებს და ფუნქციონალურ მოვალეობებს თანამშრომელთა შორის.

**მიმართულების** ხელმძღვანელი ინიშნება ამ თანამდებობაზე უნივერსიტეტის რექტორის მიერ დეკანის და დეპარტამენტის უფროსის წარდგინების საფუძველზე.

**მიმართულების** საქმიანობა უშუალოდ ექვემდებარება შესაბამისი დეპარტამენტის უფროსს.

**შესაბამისი მიმართულების** აკადემიურ პერსონალს პასუხისმგებლობა ეკისრება მათ მიერ გამოშვებული კურსდამთავრებულის კვალიფიკაციაზე.

იმს ფაკულტეტზე არსებული მიმართულებები დეპარტამენტების მიხედვით განაწილებულია შემდეგი სახით:

*1. კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტი*

მიმართულებები:

- კომპიუტერული სისტემები და ქსელები;
- კომპიუტერული ტექნოლოგიები და მენეჯმენტი
- გაყენებითი მათემატიკა და კომპიუტერული მოდელირება;

*2. საინჟინრო კიბერნეტიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის დეპარტამენტი*

მიმართულებები:

- მართვის სისტემები და რობოტოტექნიკა
- საზომი ტექნიკა, ექსპერტიზა და ხარისხის მართვა
- ბიოსამედიცინო ინჟინერია
- ხელოვნური ინტელექტი

*3. ორგანიზაციული მართვის დეპარტამენტი*

მიმართულებები:

- ეკონომიკური ინფორმატიკა
- მართვის ავტომატიზებული სისტემები

*4. ფიზიკა-ტექნიკის დეპარტამენტი*

მიმართულებები:

- ზოგადი ფიზიკა
- ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკა და ფიზიკური მასალათმცოდნეობა

*5. მათემატიკის დეპარტამენტი*

მიმართულებები:

- ალგებრა და გეომეტრია
- მათემატიკური ანალიზი
- მათემატიკური ფიზიკა

## 9. ფაკულტეტის სამდივნო

ფაკულტეტის სამდივნო წარმოადგენს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ექვემდებარება დეკანს და მის მოადგილეებს.

სამდივნოს მოვალეობაა:

- სტუდენტების პირადი საქმეების წარმოება (ჩარიცხვის ბრძანებიდან დაწყებული, ნებისმიერი ბრძანების ამონაწერის შეტანა პირად საქმეში); სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფა;
- სტუდენტთა ატესტატების ჩაბარება არქივში;
- სტუდენტთა პირადი საქმეებიდან სრული მონაცემების ამოკრეფა და მომზადება ელექტრონულ ბაზაში შესატანად, რათა მოხდეს სტუდენტის ნებისმიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება კომპიუტერის საშუალებით;
- ყველა ვაჟ სტუდენტთა ფორმა „T-2“-ის ამობეჭვდა და სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილებაში წარდგენა. ძველი არქივის (სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის დამთავრებიდან 5-10 წლის შემდეგ) მოხერხებულად და საიმედოდ მოხმარებისათვის შემდეგი დოკუმენტების წარმოება:
  - ალფაბეტური წიგნი;
  - სტუდენტთა კონტიგენტის ჟურნალი (ჯგუფებისა და ბრძანებების შესაბამისად);
  - ბრძანებების დახარისხება მოხერხებულად გამოყენებისათვის;
  - უნივერსიტეტის ბრძანებების რეგისტრაცია სტუდენტთა შემადგენლობის შესახებ;
  - უნივერსიტეტის ზოგადი ბრძანებების რეგისტრირება (მეთოდური, ადმინისტრაციული და სხვა);
  - საფაკულტეტო ბრძანებების მომზადება;
  - საფაკულტეტო ბრძანებების წარმოება და დაგზავნა (სამობილიზაციო, სტატისტიკის და სასტიპენდიო განყოფილებებში);
  - სტუდენტთა შემადგენლობის შესახებ ყველა შემოსული ბრძანების შინაარსის შეტანა: პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაში; კონტიგენტის ჟურნალში; ალფაბეტურ წიგნში; სასწავლო პასპორტში; მოძრაობის ჟურნალში.
  - შესაბამისი ბრძანების ამონაწერის შეტანა პირად საქმეში. ჯგუფის შეცვლის შემთხვევაში პირადი საქმის გადატანა ბრძანებაში მითითებულ ჯგუფში, (გარიცხვის შემთხვევაში პირადი საქმე რჩება იმავე ჯგუფში საიდანაც მოხდა სტუდენტის გარიცხვა).
  - შემაჯამებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც მოამზადებს პროგრამული უზრუნველყოფის სამსახური, დიპლომების კატეგორიების განსაზღვრა.

- დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის დიპლომის ასლებისა და დამთავრების შესახებ ბრძანების პროექტების მომზადება და გასაფორმებლად წარდგენა არქივში; საერთო განყოფილებაში; დიპლომების გაცემის განყოფილებაში.
- საატესტაციო კომისიის ოქმების წარმოება.

### **10. პროგრამული უზრუნველყოფის სამსახური**

პროგრამული უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ფაკულტეტის სამდივნოს შემადგენელ ნაწილს. მის მოვალეობას შეადგენს:

- ელექტრონულ ბაზებში სტუდენტების მონაცემების შეტანა: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, ჩაწერის რაიონი, მისამართი, პასპორტის მონაცემები, მშობლების ვინაობა, რომელი სკოლა დაამთავრა. ჩამონათვალი მონაცემებიდან სტუდენტის საძიებო კომპიუტერული პროგრამის შექმნა.
- საძიებო სისტემიდან ცნობების გაცემა: ფორმა-26; T-2 და მათი რეგისტრაცია. საძიებო სისტემიდან უნდა იბეჭდებოდეს:
- სასწავლო გეგმა კურსების მიხედვით შესაბამისი სასწავლო წლისათვის;
- ჯგუფის საგამოცდო (ან რეიტინგის) უწყისები;
- ინდივიდუალური საგამოცდო ფურცლები;
- სიები ჯგუფების მიხედვით;
- სიები არჩეული საგნების მიხედვით;
- სასწავლო პასპორტი;
- სტუდენტის სასწავლო ბარათი;
- სისტემა უნდა განსაზღვრავდეს სტუდენტის საკურსო რეიტინგს და ბეჭდავდეს საჭიროებისამებრ ჯგუფების ან ქულების მიხედვით;
- შეფასებების შეტანა უწყისებიდან და ინდივიდუალური ფურცლებიდან;
- სათანადო შინაარსის ბრძანებების გაფორმება;
- სათანადო სტატისტიკური მონაცემების შედგენა;
- დამამთავრებელი კურსებისათვის: დიპლომის ასლისა და დამთავრების შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება.
- თეორიული კურსის დასრულების შემდეგ, ჯგუფების მიხედვით, შემაჯამებელი დოკუმენტის შედგენა.
- დიპლომის დანართის შედგენა.

### **11. ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი**

ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალ ძირითად სტრუქტურულ ერთეულს.

ინსტიტუტის საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო კანონმდებლობის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ინფორმატიკის და მართვის

სისტემების ფაკულტეტის და ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დებულებების საფუძველზე.

ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი (ფზი) სტრუქტურულად აერთიანებს შემდეგ ძირითად სამეცნიერო-საკვლევ ერთეულებს:

1. სტრუქტურული კვლევის რესპუბლიკური ცენტრი;
2. მიკროელექტრონიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი;
3. მყარი სხეულების ფიზიკის საპრობლემო ლაბორატორია;
4. კრიმინალისტიკურ-ტექნიკური ექსპერტიზის სასწავლო-კვლევითი ცენტრი.

ჩამოთვლილი ცენტრები და ლაბორატორიები წარმოადგენენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო სტრუქტურულ ერთეულებს, სადაც პროფესორ-მასწავლებელთა, მკვლევართა და სტუდენტთა თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული სწავლის, ასევე მეცნიერული კვლევის ერთიანი სივრცე.

- მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
  1. სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების წარმართვა, მათ შორის ახალ ტექნოლოგიებში;
  2. კვლევის საფუძველზე დამუშავების ჩატარება და წარმოებაში დანერგვა;
  3. სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;
  4. საექსპერტო-სამეურნეო-კომერციული საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით და არ ეწინააღმდეგება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებას.
- ფზი-ს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც ინიშნება სტუ-ს წესდების მიხედვით, ხოლო ფზი-ს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ერთეულს ხელმძღვანელობს ამავე დარგში მომუშავე მეცნიერების დოქტორი.
- ფზი-ს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ერთეულის სტრუქტურაში შეიძლება არსებობდეს ლაბორატორიები, სექტორები და სხვ. ძირითად თანამშრომლებია: სამეცნიერო, ადმინისტრაციული და ტექნიკური.
- ფზი-ს და მისი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ერთეულების ფინანსირების წყაროს წარმოადგენს მოპოვებული გრანტები, გარე დაკვეთები, სპონსორობა;
- ფზი-ს თითოეული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ერთეულის საქმიანობა განისაზღვრება საკუთარი დებულებებით, რომლებიც შეიცავენ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებს და მათი განხორციელების პირობებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მაგისტრების და დოქტორანტების მომზადების პრინციპებს, მართვის ორგანოებსა და პერსონალს, მათი არჩევის (დანიშვნის) წესსა და უფლებამოსილებებს, დაფინანსების პრინციპებსა და წესებს.

## **12. ვირტუალური კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვირტუალური კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრი წარმოადგენს იმს ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს. იგი ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს და იმსი-ს ფაკულტეტის დეკანს.

ცენტრი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით, საკუთარი დებულებით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პრინციპებით.

ვირტუალური კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრის ფუნქციონირების ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:

- სახელმძღვანელოთა ელექტრონული ვერსიების შექმნა.
- სახელმძღვანელოთა გადამუშავება შესაბამის ფორმატში და ვირტუალური ბიბლიოთეკის ფორმირება ინსტიტუტის მასშტაბით.
- სასწავლო პროცესში ახალი ტიპის სიმულაციური ლაბორატორიული სამუშაოთა ციკლების ფორმირება და მათი წარმატებულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- ლაბორანტებისა და პედაგოგების კონსულტირება და ინფორმაციული უზრუნველყოფა სხვადასხვა ოპერაციულ სისტემებსა და სამომხმარებლო პროგრამულ პაკეტებში უნივერსიტეტის მასშტაბით.
- ვირტუალური ტელეკონფერენციების ორგანიზება.
- ვირტუალური საწარმოო პოლიგონების შექმნა.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ნებადართულია საუნივერსიტეტო წესდებით.

## **13. კომპიუტერული ქსელი მართვის ცენტრი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი (შემდგომში ცენტრი) წარმოადგენს იმს ფაკულტეტის ერთეულს. იგი უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს და იმს ფაკულტეტის დეკანს.

ცენტრის შექმნის მიზანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის მხარდაჭერა და განვითარება. ცენტრი ახორციელებს მართვის ერთიან პოლიტიკას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესში და სამეცნიერო კვლევებში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას, კერძოდ ცენტრის საქმიანობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის ჩამოყალიბება ერთიან საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცედ;
- უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის, სამეცნიერო კვლევების და მართვის ინფორმატიზაციის უზრუნველყოფა;
- კომპიუტერული ქსელის საინფორმაციო და საკომუნიკაციო რესურსების ეფექტური გამოყენება;

- სტუ-ს წარმოდგენა მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში;
- უნივერსიტეტის Web, E-mail, Ftp და სხვა სერვერების მხარდაჭერა და განვითარება;
- სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მაგისტრალის და ცენტრალური კვანძების მხარდაჭერა;
- სტუ-ს კომპიუტერული ქსელის კავშირის უზრუნველყოფა რეგიონალურ და საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელებთან;
- სტუ-ს კომპიუტერული ქსელის ევროპულ საგანმანათლებლო ქსელში ინტეგრირება;
- საწარმოო პროცესების იმიტაცია ლაბორატრიულ პირობებში სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის;
- სამეცნიერო თემატიკის მოზიდვა და სტუდენტების აქტიური ჩართვა;

#### *14 ფაკულტეტის ბიბლიოთეკა*

ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა წარმოადგენს ამავე ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო-კვლევით ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის დებულებისა და საკუთარი დებულების შესაბამისად. ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში შედის ფაკულტეტის მიმართულებების ბიბლიოთეკები.

- ფაკულტეტის ბიბლიოთეკა მიმართულებების ბიბლიოთეკებთან ერთად წარმოადგენს საინფორმაციო სასწავლო და სამეცნიერო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მომსახურების უზრუნველყოფას.
- ფაკულტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წიგნადი და პერიოდულ გამოცემთა შექენას, მათ აღრიცხვას, მოვლა-შენახვასა და გამოყენებას.
- ფაკულტეტის ბიბლიოთეკა ახორციელებს გაცვლით პროგრამებს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ფარგლებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს გარეთ.